სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 09 მარტი, 2023
ადგილმდებარეობა: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, თორნიკე ბაქრაძე, ია გაბედავა, ინგა სეხნიაშვილი, როინ მიგრიაული.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ანი მეგრაბიანის, ლიკა კაპანაძის, ელენე ჯიბუტის და ონისე წულაიას განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანი მეგრაბიანის, ლიკა კაპანაძის, ელენე ჯიბუტის და ონისე წულაიას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

რეზო შავაძის, გიორგი ქელდიშვილის, მურმან გრიგოლიას, ირაკლი დუაძის, თამაზ ხაინდრავას, ლიანა ჯიქიას, გოგა ხატიაშვილის, ლევან გეგეშიძის, იოსებ ბოლოთაშვილის, თეიმურაზ ჯოხაძის და ნინო გიორბელიძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს რეზო შავაძის, გიორგი ქელდიშვილის, მურმან გრიგოლიას, ირაკლი დუაძის, თამაზ ხაინდრავას, ლიანა ჯიქიას, გოგა ხატიაშვილის, ლევან გეგეშიძის, იოსებ ბოლოთაშვილის, თეიმურაზ ჯოხაძის და ნინო გიორბელიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ ზაზა სუხიშვილის, ქეთევან გუბელიძის, ნინო გიორბელიძის და **2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების** - ამირან შვანგირაძის, ქეთევან მურადაშვილის, თიკა ნებიერიძის და ლელა მაჭარაშვილის განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2023 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის

წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის, "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: "საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა" ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოვეწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ" ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა".

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზაზა სუხიშვილის, ქეთევან გუბელიძის, ნინო გიორბელიძის და 2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრების - ამირან შვანგირაძის, ქეთევან მურადაშვილის, თიკა ნებიერიძის და ლელა მაჭარაშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების საკითხის განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2023 წლის 09 მარტის მდგომარეობით, ასოციაციის 1078 წევრს უფიქსირდება 2023 წლის საწევრო დავალიანება, ხოლო 43 წევრს - 2022 წლის და 29 წევრს - 2021 წლის საწევრო დავალიანება. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან ასოციაციის თვითმიზანი არ არის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა და ამავდროულად, წარმოდგენილია განცხადებები საწევროს გადავადების თაობაზე, მიზანშეწონილია, კოლეგებს მიეცეთ შესაძლებლობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელებით დაფარონ საწევრო დავალიანება. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის გაგრძელება დამატებით 14 კალენდარული დღით - 2023 წლის 23 მარტამდე.

ღია კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2023 წლის 16 თებერვალს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის 14 კალენდარული დღით, ანუ 2023 წლის 23 მარტამდე გაგრძელების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2023 წლის 16 თებერვლის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს 14 კალენდარული დღით და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2023 წლის 23 მარტი.

საკითხი 5. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შემოსული საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ ნინო ჩიმაკაძის, ვლადიმერ კიკნაძის, მარიამ სანებლიძის, ნიკოლოზ ზაქარაიას, თამარ ტატანაშვილის, ანა ყარასაშვილის, სოფიო ჩიხაშვილის, თამარ სანიკიძის, მაგული ლიპარტელიანის, მანანა აფხაძის, თინათინ მჭედლიშვილი, გიგა კოღუას, ირაკლი შელიას, ამირან შვანგირაძის, ნინო ამისულაშვილის, ედვარდ აღდგომელაშვილის, კახაბერ იოსელიანის, ნინო რურუას, ლამარა ბზიშვილის, გვანცა ასპანიძის, ლეილა თავამაიშვილის, ნატო ქარჩაიძის, ქეთევან მიქელაძის, ზვიად ტაბატაძის, ნინო დოლიძის (სიითი N1976), ხათუნა გოდერძიშვილის, ანნა შიშნიაშვილის, ია თოდუას, ნინო მიქატაძის, ხათუნა მანჯგალაძის, ალექსანდრე ახალაძის, თამაზ სვანიშვილის, დარეჯან ზედგენიძის, სპარტაკ კაპანაძის, გვანცა ჩადუნელის, აკაკი ლომსაძის, დიანა მარტიაშვილის, შორენა ბოჭორიშვილის და მამუკა ნინუას საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებებს.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა გადაიდოს და განხილულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა გადაიდოს იმ სხდომაზე, სადაც განხილულ იქნება ადმინისტრაციული წარმოება და განისაზღვრება შესაბამისი გადახდის ვადები.

საკითხი 6. თამარ მერლანის განცხადების განხილვა სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ თამარ მერლანის განცხადება სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) დაკმაყოფილდეს თამარ მერლანის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.5 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს თამარ მერლანის კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტის წევრად.

(ბ) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 7. ადვოკატთა ასოციაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

წევრები გაეცნენ აღმასრულებელი მდივნის და ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსის თამთა დევდარიანის მიერ წარმოდგენილ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პროექტს. წევრების მიერ დაისვა კითხვები და გაცემულ იქნა პასუხები. ამასთან, აღინიშნა, რომ სამოქმედო გეგმის შემუშავება დაეყრდნო ისეთ საერთაშორისო ჩარჩო დოკუმენტებს, როგორიცაა გაეროს კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“, საქართველოს კონსტიტუცია და საქართველოს კანონი „შეზუღუდლი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N 1).

საკითხი 8. ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის თავმჯდომარის - გიორგი გვენეტაძის მომართვის განხილვა, კომიტეტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვასთან დაკავშირებით.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის თავმჯდომარის - გიორგი გვენეტაძის მომართვას, რომლითაც სხდომაზე წარმოდგენილი იყო ადმინსიტრაციული სამართლის კომიტეტის მიერ შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივა.

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტის სრულყოფილად გასაცნობად მათ ესაჭიროებათ დამატებითი დრო. შესაბამისად, თავმჯდომარემ დააყენა წინადადება აღნიშნული საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის განისაზღვროს დამატებითი ვადა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ადმინისტარციული სამართლის კომიტეტის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების უკეთ გასაცნობად განისაზღვროს დამატებითი ვადა.

საკითხი 9. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-9 ნაკადის მონაწილეთა სიის დამტკიცება.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ 2023 წლის 31 იანვრიდან 02 მარტამდე მიმდინარეობდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამაზე მსურველთა რეგისტრაცია. ჯამში დარეგისტრირდა 185 მონაწილე, რომლებიც აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-5 მუხლის, 5.8 პუნქტის თანახმად, განმცხადებელთა სიას ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მონაწილეთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით და მათ მიენიჭოთ პროგრამის მონაწილის სტატუსი (დანართი N 2).

საკითხი 10. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის დამტკიცება.

წევრები გაეცნენ ანა შავარდენიძის განცხადებას ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ანა შავარდენიძე ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანდა 2021 წლის 18 ივნისს, შესაბამისად მას ამ ეტაპზე არ აქვს მინიმუმ 3 წლიანი ადვოკატად მუშაობის სტაჟი.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.2 მუხლის თანახმად, სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი შეიძლება გახდეს ასოციაციის წევრი, რომელსაც აქვს ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 3-წლიანი გამოცდილება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) არ დაკმაყოფილდეს ანა შავარდენიძის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად რეგისტრაციის შესახებ განცხადება.

(ბ) განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 11. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) ირაკლი ზაქარიაძის განცხადებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ირაკლი ზაქარიაძეს, აღმასრულებელი საბჭოს 2021 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით, საწევრო დავალიანების გამო, შეუწყდა ასოციაციის წევრობა. წევრებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ირაკლი ზაქარიაძის მიერ წარმოდგენილ განცხადებას, რომლითაც მოთხოვნილია წევრობის აღდგენა (ხელახალი გაწევრიანება), თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე (მომხრე 7: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ნათია კორკოტაძე, მარიამ კუბლაშვილი, ტარიელ კაკაბაძე, ია გაბედავა, ინგა სეხნიაშვილი, როინ მიგრიაული და წინააღმდეგი 1: თორნიკე ბაქრაძე) მიღებული იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ირაკლი ზაქარიაძის მიერ წარმოდგენილი განცხადება ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ნინო ირემაძის განცხადებას.

განცხადებით მოთხოვნილია საწევრო შეღავათის გავრცელება და გადახდილი საწევრო - 200 (ორასი) ლარის გადანაწილება და 2023 წლის საწევრო გადასახადის გადახდილად ჩათვლა. ნინო ირემაძის განცხადებას თან ერთვის შემოსავლების სამსახურის მიერ გაცმეული ცნობა, რომლის თანახმადაც ნინო ირემაძე გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია რეგიონში.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვარის გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 1-ლი თებერვლის, 2007 წლის 31 მაისის, 2010 წლის 19 მაისის, 2010 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებებში და განისაზღვრა ასოციაციის იმ წევრების შერჩევის ერთიანი კრიტერიუმები, რომლის საფუძველზეც ადვოკატები ისარგებლებენ საწევრო შეღავათებით, შესაბამისად ნინო ირემაძის განცხადება ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. **დაკმაყოფილდეს ნინო ირემაძის განცხადება და განმცხადებელს 2023 წლის საწევრო შენატანი ჩაეთვალოს გადახდილად.**
2. **განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.**
3. **მიღებული გადაწყვეტილების ასახვა დაევალოს ფინანსურ მენეჯერს.**

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე